საქართველოს მთავრობის

დადგენილება №391

2014 წლის 11 ივნისი

ქ. თბილისი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლის, ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონის 10^3 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი, ატრიბუტიკა და სიმბოლიკა თანდართული აღწერილობისა და ესკიზების (პლანშეტი) მიხედვით.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პლანშეტების შემადგენლობის გათვალისწინებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების, სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა თანამშრომელთა ფორმის ტანსაცმლით, ატრიბუტიკითა და სიმბოლიკით უზრუნველყოფა განხორციელდეს სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კომპლექტაციის, აღწერილობისა და მოხმარების პერიოდების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის დადგენილება №92 - ვებგვერდი, 20.02.2018წ.

მუხლი 3

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაევალოს 2014 წლის 1 ოქტომბრამდე უზრუნველყოს სამსახურის ფორმის ტანსაცმლის, ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის ამ დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 4

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №113 დადგენილება „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლის, ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის დამტკიცების შესახებ.“.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**